

5 კლასი

1. ანი გორგოლაჭებიან დაფაზე დგას და ქარის საპირისპირო მიმართულებით ცდილობს გადაადგილებას. რომ არ უშლიდეს ხელს ქარი, ანი ყოველ საათში 12 კილომეტრს გაივლიდა. რამდენ საათში გაივლის ანი 10 კილომეტრიან მანძილს ქარის მიმართულებით თუ ივლის?






A. 1.2 საათში

B. 0.75 საათში

C. ვერ გავიგებთ

უპასუხეთ შეკითხვებს 2-7 ცხრილის მიხედვით.

ცხრილში თქვენ ხედავთ რომას მაღაზიაში გაყიდულ ნივთთა რაოდენობას კვირის დღეების მიხედვით.

დღე	გაყიდული ნივთები
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	

2. რამდენით აღემატება ყველაზე დიდი გაყიდული რაოდენობა ყველაზე მცირეს?

A. 3-ით

B. 4-ით

C. 5-ით

3. რომელ რიცხვთანაა ყველაზე ახლოს ამ 5 დღეში ნივთთა გაყიდული რაოდენობა?

A. 20                      B. 25                      C. 30

4. რამდენით მეტია ორშაბათს გაყიდულ ცულთა რაოდენობა ხუთშაბათს გაყიდულ ცულთა რაოდენობაზე?

A. 3-ით                                      B. 2 -ით                                      C. 1 -ით

5. რომელი ნივთი იყიდება ყველაზე უკეთ?

A. ცული                                      B. სახრახნისი                                      C. ყველა თანაბრად

6. რამდენჯერ აღემატება ორშაბათსა და ხუთშაბათს გაყიდული სახრახნისების ჯამური რაოდენობა სამშაბათს გაყიდულ სახრახნისთა რაოდენობას?

A. 2-ჯერ                                      B. 3-ჯერ                                      C. 4-ჯერ

7. რომელი ნივთი არ გაიყიდა ორშაბათს უკეთ ვიდრე ხუთშაბათს?

A. ცული                                      B. სახრახნისი                                      C. მაკრატელი

8. ჩამოთვლილთაგან რომელ რიცხვშია ათეულების თანრიგის ციფრი მეტი ერთეულების თანრიგის ციფრზე?

A. 34                                      B. 106                                      C. 51

9. რას უდრის ერთმანეთის მომდევნო რიცხვების ჯამი აუცილებლად?

A. 1                                      B. 0                                      C. უამრავი პასუხია

10. რამდენი გვერდი აქვს შვიდკუთხედს?

A. 6                                      B. 7                                      C. 8